



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 154/ს
05/04/2023

154-21-4-202304051546



კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში შპს „ჯეო ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 60 000 ტონიდან 120 000 ტონამდე გაზრდა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯეოცემენტის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში არსებული ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2009 წლის 5 ნოემბერს შპს „მეტეხი-ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №100 და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №ი-557. აღნიშნულის საფუძველზე, 2021 წლის 29 იანვარს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება № 2-133). 2021 წლის 17 მაისს შპს „მეტეხი-ცემენტისა“ და შპს „ჯეო ცემენტის“ დირექტორების ერთობლივი მომართვის საფუძველზე, შპს „მეტეხი-ცემენტზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ჯეო ცემენტს“ (ბრძანება № 2-668).

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჯეოცემენტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2022 წლის 6 ივლისს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 76¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №069188 და №074741 ოქმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ჯეო ცემენტის“ ცემენტის საწარმო მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 26 175 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.12.45.000.093). საწარმოს განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 2,2 კმ-ით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. კოწახურა - 250 მეტრით. ობიექტს აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „ბილდერის“ წებოცემენტისა და ქაფიბლოკის საწარმო.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ჯეოცემენტის“ საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა მარკის ცემენტის წარმოება, რომლის მიღება ხდება კლინკერის (48 000 ტ/წელ), თაბაშირის (3 000 ტ/წელ) და დანამატების (9 000 ტ/წელ) ერთდროული დაფქვით. წლიურად საწარმოში ხდება 60 000 ტონა ცემენტის წარმოება, რისთვისაც ობიექტზე ფუნქციონირებს ერთი ერთეული, 10 ტ/სთ წარმადობის, ორკამერიანი, ბურთულეებიანი წისქვილი (მარკა MC 2,0 x 10,5). საწარმო მუშაობს წელიწადში 300 დღე, დღე-ღამეში 20 საათი და აწარმოებს სხვადასხვა მარკის (მარკა „300“ და მარკა „400“) ცემენტს. ძირითადი საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, სადაც განთავსებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: ბურთულეებიანი წისქვილი, სასწორიანი მკვებავი ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი, სეპარატორი, აირსლაიდი, ხრახნული კონვეიერი, კომპრესორი, სილოსები, ცემენტშიდიდებში ჩატვირთვის ადგილი, ცემენტის დაფასოების ადგილი, სახელოიანი ფილტრი და სახელოიანი ფილტრის გაფრქვევის მილი. საწარმოო პროცესი იწყება შესაბამისი რეცეპტის მიხედვით მომზადებული კაზმის კლინკერის საწყობიდან ავტოთვითმცლელით მიმღებ ბუნკერში გადატვირთვით, საიდანაც ვიბრაციული მკვებავით გადადის ბურთულეებიან წისქვილში დასაფქვავად. მზა პროდუქცია მომხმარებელს მიეწოდება სილოსებიდან (4 x 8,5 ტ) ცემენტშიდიდებით (წარმოებული ცემენტის 85%) და 50 კგ-იანი ტომრებით (წარმოებული ცემენტის 15%).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია ცემენტის საწარმოს წარმადობის 60 000 ტონიდან 120 000 ტონამდე გაზრდა, რისთვისაც იმავე შენობაში განთავსდება ცემენტის წარმოების ახალი - არსებული საწარმოს ანალოგიური ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც აღჭურვილი იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტებით: ბურთულეებიანი წისქვილი (10 ტ/სთ), წისქვილის ბუნკერი, სასწორიანი მკვებავი ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი, სეპარატორი, აირსლაიდი, ხრახნული კონვეიერი, ელევატორი, სილოსები, ცემენტშიდიდებში ჩატვირთვის ადგილი, სასწორი, სახელოიანი ფილტრი და სახელოიანი ფილტრის გაფრქვევის მილი. ცემენტის საწარმოს ბურთულეებიანი წისქვილის გაფრქვევის მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის დანადგარი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ცემენტის წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხაზისთვის გამოყენებული ტექნოლოგიური დანადგარები, ტექნოლოგიური ციკლი და მტვერდამჭერი სისტემა იქნება არსებული ცემენტის საწარმოს ანალოგიური, ერთადერთი განსხვავებით - მზა პროდუქცია მომხმარებელს სრულად მიეწოდება ცემენტშიდიდებით. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში საწარმოში შემოზიდული კლინკერისა და თაბაშირის შესანახად გათვალისწინებულია ანგარის ტიპის ნაგებობის მშენებლობა, ხოლო, დანამატი (ძირითადად ღორღის 5-10 მმ ფრაქცია), განთავსდება შენობის აღმოსავლეთით, ღია ტერიტორიაზე. ნედლეულის შესანახი შენობის პარამეტრებია: სიგრძე - 36 მ, სიგანე - 24 მ, სიმაღლე - 12 მ. შენობის კედლები აგებული იქნება ბეტონის და პროფილირებული თუნუქის მასალისაგან. პერიმეტრზე მიწიდან 2,0-2,5 სიმაღლეზე მოწყობილი იქნება ბეტონის კედელი, რომელზეც დამონტაჟებულ ლითონის კონსტრუქციაზე მოეწყობა კარკასული ტიპის პროფილირებული თუნუქის მასალის ნაგებობა (კედლები და სახურავი). სასაწყობე შენობას ექნება ორი კარი მაღალი ტვირთამწეობის ავტოტრანსპორტის გატარებისათვის, რომელთაგან ერთი იქნება აღმოსავლეთის მხარეს, სადაც მოხდება ნედლეულის მიღება, ხოლო მეორე - სამხრეთის მხარეს, საიდანაც მოხდება ნედლეულის ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების შენობაში ტრანსპორტირება. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების შედეგად, არსებულ ცემენტის საწარმოში კომპრესორის ნაცვლად გამოყენებული იქნება თეფშებიანი ელევატორი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ცემენტის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის, კერძოდ, თაბაშირის შესყიდვა მოხდება რაჭის ტერიტორიაზე მოქმედი თაბაშირის მომპოვებელი კომპანიებისაგან და მისი ტრანსპორტირება განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, თბილის-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის გავლით, რისთვისაც 1 თვის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 12 სატრანსპორტო ოპერაცია. დოკუმენტის თანახმად, კლინკერის შესყიდვა გათვალისწინებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და მისი ტრანსპორტირება განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რისთვისაც დღის განმავლობაში მოსალოდნელია 10-12 სატრანსპორტო ოპერაცია. რაც შეეხება დანამატს, მისი ობიექტის ტერიტორიაზე შეტანა მოხდება ქ. კასპის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოებიდან, რისთვისაც დღის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 2-3 სატრანსპორტო ოპერაცია. საწარმოდან მზა პროდუქციის ტრანსპორტირება ძირითადად განხორციელდება ქ. თბილისის მიმართულებით, რისთვისაც დღის განმავლობაში მოსალოდნელია მაქსიმუმ 16 სატრანსპორტო ოპერაცია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ცემენტის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, სახანძრო უსაფრთხოებისთვის და ტერიტორიის მოსარწყავად. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით წყალაღება დაგეგმილი იყო მეტეხის წყალმომარაგების სისტემიდან, რაც კომპანიის მიერ არ ხორციელდება. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, წყლის დაგროვება ხდება ცისტერნიანი ავტოტრანსპორტიდან 5 მ³ მოცულობის რეზერვუარში. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. დოკუმენტის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში ძირითადი საწარმოო პროცესები მიმდინარეობს დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება, თუმცა, ვინაიდან, საწარმოში დანამატის სახით შემოზიდული ღორღის განთავსება გათვალისწინებულია ღია სასაწყობე ტერიტორიაზე, დაზუსტებას საჭიროებს წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრისა და ცემენტის მტვრის წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, საწარმოს წარმადობა ორმაგდება (120 000), ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას, მათ შორის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების პირობებში, ობიექტზე შემოზიდული ნედლეულისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურწარმოქმნელ წყაროებს წარმოადგენს ორი ბურთულებიანი წისქვილი და ერთი კომპრესორი. აღნიშნული დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, ხოლო საწარმო ყველა მხრიდან შემოსაზღვრულია კედლით. შესაბამისად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით (2.2 კმ), დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ხმაურით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. ნარჩენების გატანა მოხდება შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კასპის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ნაგავსაყრელზე. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს მომიჯნავედ ფუნქციონირებს შპს „ბილდერის“ წებოცემენტისა და ქაფბლოკის საწარმო. შესაბამისად, გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას, მათ შორის, აღნიშნული საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების პირობებში განხორციელებული სატრანსპორტო ოპერაციებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია უკვე ათვისებულ, ტექნოლოგიურად სახეცვლილ გარემოში, სადაც ხე-მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. საწარმოს ტერიტორია მთლიანად შემოღობილია კაპიტალური კედლით, ხოლო ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია დატკეპნილი ღორღის ფენით. ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში შპს „ჯეო ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმადობის 60 000 ტონიდან 120 000 ტონამდე გაზრდა) **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯეოცემენტი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეოცემენტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეოცემენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ

ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო